სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

50903171141314

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140628374

რეგისტრაციის თარიღი

19.06.2014 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე

მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16

ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თოთხმეტი წლის ცხრამეტ ივნისს მე, თამარ ბაქრაძეს, საქართველოს ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა № 16 მომმართა ემრულლაჰ დემირმა მან განაცხადა, რომ არის შპს "ჩაღლარის საბავშვო სკოლა ლიცეუმი სხივი"-ს (რეგისტრირებული 20.06.2008 წელს, ს/კ № 205257407) დირექტორი და სურს კობა კობალაძის მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად ემრულლაჰ დემირმა (დაბ. 28.01.1982 წელს, თურქეთი, პირადი № 01097000846, ბარათის № 13TR04166 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 05.03.2014 წელს, რეგ. მისამართზე: ქ. თბილისი დიდი დიღომი გ. ბრწყინვალეს ქ. №1, ბინა 15) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ცხრამეტ ივნისს მე, ემრულლაჰ დემირ , როგორც შპს " ჩაღლარის საბავშვო სკოლა ლიცეუმი სხივი"-ს დირექტორი, შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ კობა კობალაძეს (დაბ. 10.08.1975 წელს, თბილისი, პირადი № 01009003790)შემდგომში – "მინდობილ პირს"

იყოს , ემრულლაჰ დემირის, როგორც შპს " ჩაღლარის საბავშვო სკოლა ლიცეუმი სხივი "-ს დირექტორის, წარმომადგენელი ქონების მესაკუთრედ აღიარების კომისიაში და ქონების ლეგალიზაციის კომისიაში, რათა მოახდინოს უძრავი ქონების-მიწების **ლეგალიზება-დაკანონება, გამიჯვნა და დარეგისტრირება საჯარო რეესტრში.** იყოს წარმომადგენელი **ქალაქის მერიაში, სასამართლოში,** საკრებულოში, ყველა საჯარო ინსტანციაში, თვითმმართველობის ორგანოებში, **გამგეობაში,** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, **სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში,** ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქალაქის არქივებში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საამზომველო ფირმებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ზედამხედველობის სამსახურში, სს „თელას"-ში, წყალკანალში, კომპანია „ ყაზტრანს გაზ"-ში, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, **წარმოადგინოს ჩემი ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, მიიღოს პროექტის ნებართვა, მოახდინოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო ზოლის გადატანა, გაუქმება, ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან,** გადაიხადოს ჩემი სახელით მოსაკრებელი, ჩემს მაგივრად ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს, დადოს კანონით ნებადართული ნებისმიერი გარიგება და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, და სხვა დოკუმენტი ან მისი დუბლიკატი, ხელი მოაწეროს ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან.

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის ვადით** უფლებამოსილების მესამე პირზე გადანდობის **უფლების გარეშე.**

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

შპს " ჩაღლარის საბავშვო სკოლა ლიცეუმი სხივი "-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუსის თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მინდობილ პირს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდეების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად იგივე დადგენილებისა.

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/